საწვრთნელი თამაში

თბილისის “დინამო” და ქუთაისის “ტორპედო”

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისელ ფეხბურთის მოყვარულთა შორის “სპარინგ–მატჩმა” თბილისის “დინამოსა” და ქუთაისის “ტორპედოს” შორის, რომელიც გუშინწინ შედგა თბილისის “დინამოს” სტადიონზე.

უპირველეს ყოვლისა, შემადგენლობათ შესახებ. თბილისელებს კვლავ აკლდათ სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეები, რომლებიც იუგოსლავიაში იმყოფებიან. ეს, რა თქმა უნდა, საგრძნობლად ემჩნევა გუნდს.

ძალზე საყურადღებო იყო ტორპედოელთა შემადგენლობა, სადაც რამდენიმე სრულიად ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ. ეტყობა, ქუთაისელთა მწვრთნელებს გადაწყვეტილი აქვთ მომავალი დიდი ბრძოლებისთვის მოამზადონ ისინი და თუ ვიმსჯელებთ კვირის მატჩის მიხედვით, ეს ერთობ პერსპექტიული, კარგი მომავლის მქონე ფეხბურთელებია.

მეტოქეებმა ასე ჩაატარეს თამაში: “დინამო” – კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხარტიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მაისურაძე, ვეკუა; “ტორპედო” – ლეჟავა, ლოსაბერიძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ოდიკაძე, კუტივაძე, დიმანოვი, ზუხბაია, ჯანშიევი, ხაჟალია (დუნდუა), ხერხაძე.

მატჩი ძირითადად დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. ისინი მეტ ხანს ფლობდნენ ბურთს, კომბინაციათა უმეტესობა მათ მიერ იქნა გათამაშებული, მაგრამ გუნდს ჯერჯერობით ცუდად აქვს დამუშავებული შეტევის დასკვნითი ფაზა და კარში დარტყმები. ასეთი ოსტატებიც კი, როგორც იამანიძე და ბარქაია არიან, ერიდებიან კარში დარტყმას, როცა ამას საჭიროება მოითხოვს. მართალია, ზოგჯერ ეს სარისკოა, მაგრამ ამ რისკზე წასვლა შეტევაზე მყოფი ფეხბურთელებისთვის სავსებით გამართლებულია და სავალდებულოც (მით უმეტეს, სეზონისთვის მოსამზადებელ პერიოდში).

ანგარიში მე–15 წუთზე გახსნა კუტივაძემ შესანიშნავად შესრულებული საჯარიმო დარტყმით. მეორე ტაიმში ქუთაისელები სულ ახლოს იდგნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ხერხაძემ ძალზე უზუსტოდ დაარტყა 11–მეტრიანი და ბურთი ასცდა კარს.

საპასუხო გოლი “დინამომ” გაიტანა მატჩის ბოლო წუთებში. ბარქაია კარგად გავიდა მეტოქის მცველთა შორის, მიაწოდა ბურთი დათუნაშვილს და ამ უკანასკნელმა აღადგინა წონასწორობა – 1:1.

რ. ქორიძე.
9 მარტი, 1965 წ.